

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს “კავკასუს ორგანიკ ფრუტს“

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილების
ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია
2. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა
3. ძირითადი საშუალებები
4. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები
5. საკუთარი კაპიტალი
6. მიღებული სესხები
7. მიღებული გრანტები
8. საპროცენტო ხარჯი
9. ოპერაციები და ნაშთები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან
10. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

ლარი '000	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	3 873	4 231	4 299
არამატერიალური აქტივები		5	6	6
სულ გრძელვადიანი აქტივები		3 878	4 237	4 305
მარაგები		841	1 302	1 147
გაცემული ავანსები		-	-	-
საგადასახადო აქტივი		-	-	-
გადახდილი ავანსები და სხვა მისაღები შემოსავალი		11	13	81
დებიტორული დავალიანება		42	95	34
სხვა მიმდინარე აქტივები		1	1	-
ფული და ფულის ექვივალენტები	4	1	8	14
სულ მოკლევადიანი აქტივები		896	1 419	1 276
სულ აქტივები		4 774	5 656	5 581
კაპიტალი	5			
საწესდებო კაპიტალი		10 352	9 744	1 454
გაუნაწილებელი მოგება		(7 704)	(6 650)	(9 056)
სულ კაპიტალი		2 648	3 094	(7 602)
გრძელვადიანი სესხები	6	1 872	2 274	10 540
მიღებული გრანტები	7	-	-	266
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1 872	2 274	10 806
მოკლევადიანი სესხები	6		-	109
კრედიტორული და სხვა ვალდებულებები		32	26	17
მიღებული ავანსები		-	-	-
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ		66	72	90
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		156	190	2 161
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		254	288	2 377
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4 774	5 656	5 581

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს “კავკასუს ორგანიკ ფრუტს“-ის სახელით 2023 წლის 27 სექტემბერს.

.....

შპს “კავკასუს ორგანიკ ფრუტს“-ის დირექტორი ტილ მიესკესი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

ლარი '000	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	3 873	4 231	4 299
არამატერიალური აქტივები		5	6	6
სულ გრძელვადიანი აქტივები		3 878	4 237	4 305
ძირაგები		841	1 302	1 147
გაყვანილი ავანსები		-	-	-
საგადასახადო აქტივი		-	-	-
გადახდილი ავანსები და სხვა მისაღები შემოსავალი		11	13	81
დებიტორული დავალიანება		42	95	34
სხვა მიმდინარე აქტივები		1	1	-
ფული და ფულის ექვივალენტები	4	1	8	14
სულ მოკლევადიანი აქტივები		896	1 419	1 276
სულ აქტივები		4 774	5 656	5 581
კაპიტალი	5			
საწესდებო კაპიტალი		10 352	9 744	1 454
გაუნაწილებელი მოგება		(7 704)	(6 650)	(9 056)
სულ კაპიტალი		2 648	3 094	(7 602)
გრძელვადიანი სესხები	6	1 872	2 274	10 540
მიღებული გრანტები	7	-	-	266
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1 872	2 274	10 806
მოკლევადიანი სესხები	6			109
კრედიტორული და სხვა ვალდებულებები		32	26	17
მიღებული ავანსები		-	-	-
ვალდებულება თანამშრომელია მიძარტ		66	72	90
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		156	190	2 161
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		254	288	2 377
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4 774	5 656	5 581

გამოსამზადებელი დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "კავკასუს ორგანიკ ფრუიტს"-ის სახელით 2023 წლის 27 სექტემბერს.

შპს "კავკასუს ორგანიკ ფრუიტს"-ის დირექტორი ტილომცხეთა

თანდართული დოკუმენტები წარმოადგენს შპს "კავკასუს ორგანიკ ფრუიტს"-ის ფინანსური ანგარიშგების გარეუცხოელ ნაწილს.



სრული შემოსავლის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

ლარი '000	შენიშვნა	2022	2021	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან		276	257	220
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(627)	(520)	(563)
სხვა შემოსავალი		-	3 577	182
სხვა საოპერაციო ხარჯები				
ხელფასის ხარჯი		(387)	(402)	(440)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(635)	(406)	(2 858)
ცვეთის ხარჯი		(168)	(96)	(98)
იჯარის ხარჯი		-		-
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი		(1 190)	(904)	(3 396)
არასაოპერაციო შემოსავალი				
ვალუტის გადაფასებიდან მიღებული მოგება		486	-	-
სულ არასაოპერაციო შემოსავალი		486	-	-
არასაოპერაციო ხარჯი				
საპროცენტო ხარჯი	8	-	(3)	(685)
სულ არასაოპერაციო ხარჯი		-	(3)	(685)
მიმდინარე წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		(1 055)	2 407	(4 242)

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

'000 ლარი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	1 454	(9 056)	(7 602)
შენატანი და განაწილებები			
დივიდენდები	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	8290	-	8290
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	2 407	2 407
ბალანსი 31 დეკემბერი 2021	9 744	(6 650)	3 094
შენატანი და განაწილებები			
დივიდენდები	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	609	-	609
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	(1 055)	(1 055)
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	10 353	(7 705)	2 648

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

'000 ლარი	2022	2021	2020
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(638)	(1 096)	(1 195)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	(40)	(144)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	640	1 132	1 364
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	2	(4)	25
სავალუტო კურსის ეფექტი	(9)	(2)	(11)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	8	14	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1	8	14

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „კავკასუს ორგანიკ ფრუტს“ (შემდეგში «კომპანია»), როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი, 2015 წლის 4 მარტს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დაფუძნებული იქნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ.

კომპანიის საგადასახადო რეგისტრაცია განახორციელა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სერვის-ცენტრმა და მიანიჭა გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი 405 089 210.

კომპანია, დღიდან დაფუძნებისა, დარეგისტრირებულია მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გელოვანის ქ. #2, ხოლო ჩირის საწარმო (ქარხანა) მდებარეობს მისამართზე: საქართველო, მცხეთის რაიონი, სოფელი მისაქციელი, ახალუბნის მხარე (უნ. კოდი 0001).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავების და კონსერვირების სხვა სახეები, ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი 10390 - კერძოდ, ჩირის წარმოება ხილისა და ბოსტნეულისგან.

საანგარიშო პერიოდში კომპანიას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია.

კომპანიის მესაკუთრეები არიან ერთი არარეზიდენტი ფიზიკური პირი და ერთი არარეზიდენტი იურიდიული პირი :

1. ტილ მიესკეს C3J0CPMZM (გერმანია) - წილის 24%,
2. HRB 192691 B სს სნოუკებ (გერმანია) - წილის 76%

კომპანიას მართავს დირექტორი - ტილ მიესკეს (გერმანიის მოქალაქე, C3J0CPMZM).

კომპანიის რეგისტრაციისას, მისი საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 200 ლარს, ხოლო 31.12.22წ-ის მდგომარეობით შეადგენს 10 352 205 ლარს.

31.12.20წ-სთვის კომპანიაში მუშაობდა 54 თანამშრომელი, 31.12.21წ-სთვის - 53, ხოლო 31.12.22წ-სთვის - 48.

2. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა

მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (*შემდგომში “მსს ფასს”*), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

კომპანია აცხადებს, რომ:

წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიის საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ათას ლარამდე სიზუსტით.

მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის მოქმედი (სამუშაო) ვალუტა არის და შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითადი მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება კომპანიის ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებულ შეუზღუდავ ანგარიშებზე არსებული ნაშთისგან.

უცხოურ ვალუტაში ჩატარებული ოპერაციების ასახვა ხდება ოპერაციის ჩატარების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის მიხედვით. ასეთი ოპერაციების ჩატარებით მიღებული მოგება-ზარალი აისახება შემოსავლების ანგარიშგებაში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (“**GEL**”).

უცხოურ ვალუტაში ჩატარებული ოპერაციების ასახვა ხდება ოპერაციის ჩატარების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის მიხედვით. ასეთი ოპერაციების ჩატარებით მიღებული მოგება-ზარალი აისახება შემოსავლების ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ბალანსის შედგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი

კურსით. უცხოურ ვალუტაზე არსებული ნაშთების ლარში გადაყვანის დროს 2022 წლის 31 დეკემბერს გამოყენებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შემდეგი გაცვლითი კურსები:

1 აშშ დოლარი = **2.702** ლარი და 1 ევრო = **2.8844** ლარი.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ თავის ანგარიშზე და სალაროში მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები არის საპროცენტო და სხვა დანახარჯები, რომლებსაც საზოგადოება ეწევა ნასესხები სახსრების მიღებასთან დაკავშირებით.

საზოგადოება ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირი დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია, რომ საზოგადოება მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, ან მოხდება მისი კაპიტალიზაცია, თუ გადავადებული გადახდა უკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საზოგადოება ყველა ძირითადი საშუალებას აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, აქტივის ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის გამოყენებით. აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის.

საზოგადოება ძირითადი საშუალების ყოველდღიური საექსპლუატაციო მომსახურების დანახარჯებს აღიარებს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და თუ მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახება როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით კომპანიისთვის.

შენობები განიხილება დამოუკიდებელ აქტივებად და აღირიცხება ცალ-ცალკე, ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში. როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა, შემოსულობა არ უნდა კლასიფიცირდეს როგორც ამონაგები.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- შენობები	40 წელი
- ნაგებობები	20-40 წელი
- მანქანა-დანადგარები	3-25 წელი
- ოფისის აღჭურვილობა	3-10 წელი
- ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-20 წელი
- ავტომანქანა	10-15 წელი

თუ ბოლო ანგარიშგების თარიღის შემდეგ გაირკვევა, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის ნორმა მნიშვნელოვნად შეიცვალა, მაშინ მოცემული აქტივის ცვეთა გადაიხედება და შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადები შეადგენს 10-25 წელს.

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.

თუ ბოლო ანგარიშგების თარიღის შემდეგ გაირკვევა, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის ნორმა მნიშვნელოვნად შეიცვალა, მაშინ მოცემული აქტივის ცვეთა გადაიხედება და შესწორდება პერსპექტიულად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით.

მარაგების თვითღირებულების გაანგარიშება ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია საქონლისა და მომსახურების გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში ასახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ლარში (საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით). ასეთი საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შედეგი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დივიდენდი

საზოგადოების შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს. დივიდენდების ვალდებულებად აღრიცხვა ხდება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე, გამოცხადებისა და დამტკიცების შესაბამის პერიოდში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების

განხილვა იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუკი არსებობს ასეთი ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს აქტივის (დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის ხდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ტესტირება გაუფასურებაზე, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება უდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ გაუფასურებულია, სმფ-ს საბალანსო ღირებულება მცირდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი კი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სმფ-ს შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სესხები და ოვერდრაფტები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში ამორტიზირებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელების ასახვა ხდება მოგებაში ან ზარალში იჯარის ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში ხდება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის საქართველოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან შეიცვალა კომპანიების მოგების გადასახადით დაბეგვრის ადრე არსებული. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფორმით. შესაბამისად, კომპანია აღარ აღიარებს გადავადებულ აქტივებს და ვალდებულებებს.

დღგ

კომპანია გაყიდვების/მომსახურების ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ-ს გადახდას სახელმწიფო ბიუჯეტში აწარმოებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში (შესაბამისი ჩასათვლელო თანხების დეკლარირების გათვალისწინებით).

დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

ხელფასებს, ბონუსებს, ანაზღაურებად შვებულებებს, ბიულეტენებს და არაფულად სარგებლებს კომპანია ასახავს დარიცხვის მეთოდით იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული.

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოცემის შემდეგ

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

3. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი

	სხვადასხვა ძირითადი საშუალებები	მიწა	სულ
ღირებულება			
ნაშთი 1 იანვარი 2020	3 973	116	4 089
დამატებები	783	-	783
გასვლები	(3)	-	(3)
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	4 753	116	4 869
დამატებები	128	-	128
გასვლები	(1)	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	4 880	116	4 996
დამატებები	5	-	5
გასვლები	(160)	-	(160)
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	4 725	116	4 841
ცვეთა და ამორტიზაცია			
ნაშთი 1 იანვარი 2020	(379)	-	(379)
წლის დარიცხული ცვეთა	(191)	-	(191)
გასვლები	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	(570)	-	(570)
წლის დარიცხული ცვეთა	(195)	-	(195)
გასვლები	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	(765)	-	(765)
წლის დარიცხული ცვეთა	(244)	-	(244)
გასვლები	41	-	41
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	(968)	-	(968)
საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2020	4 183	116	4 299
31 დეკემბერი 2021	4 115	116	4 231
31 დეკემბერი 2022	3 757	116	3 873

კომპანია ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯის გაანგარიშებას ახორციელებს ძირითადი საშუალებების ცვეთის წრფივი მეთოდის გამოყენებით.

4 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

'000 ლარი	2022წ. 31 დეკემბერი	2021წ. 31 დეკემბერი	2020წ. 31 დეკემბერი
მიმდინარე ანგარიშები ბანკში	1	7	14
ნაღდი ფული	-	1	-
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები:	1	8	14

5 საკუთარი კაპიტალი

(ა) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ნომინალურ კაპიტალს, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 10 352 205 ლარს.

(ბ) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით გასანაწილებელი მოგების ოდენობა შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების თანხით, რომელიც დაფიქსირებულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

6 მიღებული სესხები

'000 ლარი	2022წ. 31 დეკემბერი	2021წ. 31 დეკემბერი	2020წ. 31 დეკემბერი
SNOW CAP (გრძელვადიანი სესხი)	1 872	2 274	10 540
თიბისი ბანკი (გრძელვადიანი სესხი)	-	-	-
SNOW CAP (სესხის მიმდინარე ნაწილი)	-	-	37
თიბისი ბანკი (სესხის მიმდინარე ნაწილი)	-	-	72
სულ მიღებული სესხები	1 872	2 274	7 450

7 მიღებული გრანტები

კომპანიას ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“-სგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში მიღებული ჰქონდა თანხები გრანტის სახით, რომლიც გამოყენებული იქნა საწარმოს მშენებლობისა და ამავე მიზნით სს „თიბისი ბანკი“-დან აღებული სესხის პროცენტების დასაფარად (სესხის მიმდინარე პროცენტის სააგენტოს წილის თანადაფინანსება მსესხებლისთვის).

ააიპ „სოფლის განვითარების სააგენტო“-ს (ყოფილი ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“) წერილის თანახმად, კომპანიის მიერ „ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები სრულად არის შესრულებული“.

8 საპროცენტო ხარჯი

'000 ლარი	2022წ. 31 დეკემბერი	2021წ. 31 დეკემბერი	2020წ. 31 დეკემბერი
დარიცხული პროცენტი (თიბისი ბანკი)	-	(3)	(14)
დარიცხული პროცენტი (SNOW CAP)	-	(-)	(671)
სულ საპროცენტო ხარჯი	-	(3)	(685)

9 ოპერაციები და ნაშთები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან

ძირითადი მენეჯმენტის ანაზღაურება

ძირითადი მენეჯმენტი გულისხმობს კომპანიის დირექტორს. მენეჯმენტისათვის გაცემული ანაზღაურება, აღნიშნულ თანამდებობაზე სრული დატვირთვით მუშაობის პირობებში, მოიცავს სახელშეკრულებო ხელფასს, კომპანიის ფინანსურ შედეგებზე დამოკიდებულ პრემიებს და სხვა ხარჯების ანაზღაურებას. მთლიანი ანაზღაურება მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში.

'000 ლარი	2022 წელი	2021 წელი	2020 წელი
ხელფასი და სარგებელი	6	10	12
სულ ძირითადი მენეჯმენტის ანაზღაურება	6	10	12

სესხები ურთიერთდამოკიდებული მხარისგან

'000 ლარი	2022წ 31 დეკემბერი	2021წ. 31 დეკემბერი	2020წ. 31 დეკემბერი
SNOW CAP (გრძელვადიანი სესხი)	1 872	2 274	10 540
SNOW CAP (სესხის მიმდინარე ნაწილი)	-	-	37
სულ მიღებული სესხები	1 872	2 274	10 577

SNOW CAP-ისგან მიღებული სესხის ძირი თანხის ნაწილი 2021 წელს შეტანილი იქნა კომპანიის საწესდებო კაპიტალში.

10 საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

კომპანიას არ ჰქონია მაკორექტირებელი ან არამაკორექტირებელი ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც საჭიროებდნენ გაშიფვრას ფინანსურ ანგარიშგებაში.